


# ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, განივითარეთ მაღალი იდეურობა! ისწავლეთ ლენინურად, კომუნისტურად ცხოვრება, მუშაობა და ბრძოლა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

გუშინ მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის კომკავშირული აქტივის საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 212 (6267) 28 ოქტომბერი, შაბათი. 1978 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება და გულითადად ულოცავს კომკავშირელებს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას დიდ დღესასწაულს — სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის მე-60 წლისთავს.

დიდი ლენინის ინიციატივით შექმნილმა კომკავშირმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი და გმირული გზა განვლო. კომკავშირთან, მის სახელოვან ისტორიასთან განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა ადამიანების ყველა თაობის ბიოგრაფია. მის რიგებში კომუნისტური წრთობის სკოლა გაიარა თითქმის 150 მილიონმა კაცმა. ახალგაზრდა ლენინელთა კავშირი მკაფიოდ განასახიერებს საბჭოეთის რევოლუციურ შემართებას, რომანტიკას, მარადიულ ახალგაზრდობას, ქალიშვილებისა და ჭაბუკების მისწრაფებას იცხოვრონ, იმუშაონ და იბრძოლონ ლენინურად, კომკავშირულად.

კომუნისტებთან, მთელ მშრომელ ხალხთან ერთად კომკავშირელები უშიშრად იბრძოდნენ სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, თავდადებით შრომობდნენ პირველი ხუთწლედებისა და ომის შემდგომი აღორძინების მშენებლობებზე. ლენინურმა კომკავშირმა დიდი წვლილი შეიტანა განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების აშენებაში, იგი აქტიური აღმშენებლობითი ძალაა, საბჭოთა ახალგაზრდობის მებრძოლი ორგანიზატორია. კომკავშირის შრომითი და მხედრული გმირობა ღირსეულად დააფასა სამშობლომ — მის დროშაზე საბჭოთა კავშირის ექვსი ორდენი კიაფობს!

სამოცდაათიანი წლების კომკავშირელები წმიდად იცავენ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის შესანიშნავ ტრადიციებს, ღირსეულად განაგრძობენ უფროს თაობათა დიად საქმეს. ახალგაზრდობა მტკიცედ იბრძვის სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის.

მებრძოლურად, მისთვის დამახასიათებელი ენერგიით მონაწილეობს იგი ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სიმდიდრეთა ათვისებაში, არაშავმიწანიადაგიანი ზონის გარდაქმნაში, ეუფლება ცოდნას, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევებს. სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი პარტიას ეხმარება ნორჩი ცვლისათვის მაღალი იდეური მრწამსის, შრომისმოყვარეობის, ზნეობრივი სიწმინდის, იმ გრძნობის ჩანერგვაში, რომ ყოველ წუთს მზად იყოს სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. მთელი თავისი საქმეებით კომკავშირი ღირსეულად ადასტურებს, რომ უფლება აქვს ეწოდებოდეს კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა დამკვრელი რაზმი.

მომწიფებული სოციალიზმის პირობებში შექმნილია უალრესად ხელშემწყობი შესაძლებლობანი ახალგაზრდა თაობის ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის. ლენინური კომკავშირის, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის შემოქმედებითი აქტიურობის გამოვლენის ფართო ჰორიზონტები დასახა სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული კომკავშირი კვლავაც იქნება ახალი საზოგადოების მშენებელთა პირველ რიგებში, ახალგაზრდობას ჩაუნერგავს მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, კომუნიზმის მშენებლობისათვის მზადყოფნას, ნებისყოფასა და უნარს!

გაუმარჯოს სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ თანაშემწესა და საიმედო რეზერვს!

დიდება ჩვენი დიადი სამშობლოს ახალგაზრდა თაობას!

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

# ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ, ვისწავლოთ ლენინურად!

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

### რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო საიუბილეო სხდომაზე

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს ჩვენ შევიკრიბენით ერთობ საზეიმო მოვლენის გამო: გავა რამდენიმე დღე, და თავის მე-60 წლისთავს აღნიშნავს ჩვენი სახელოვანი, მებრძოლი კომკავშირი — კომუნისტური პარტიის ღვიძლი შვილი, დიდი ოქტომბრის პირმშო, რომელსაც ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გენია ანცისკროვნებს.

კომკავშირი ლენინის სახელს 1924 წლიდან ატარებს. ამ წმიდათაწმიდა სახელს, რომ იღებდნენ, კომკავშირელებმა პარტიას შეჰფიცეს, რომ იცხოვრებდნენ და იბრძოლებდნენ ლენინურად, განუხრელად შეასრულებდნენ დიდი ბელადის ანდერძს. და ამ ფიცს ასრულებენ კიდეც! ამას მოწმობს კომკავშირის დროშაზე მოკიაფე ექვსი ორდენი, რომლებითაც სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობის საბრძოლო და შრომითი სავმირო საქმენი აღინიშნა.

ოქტომბერი საბჭოთა ხალხისათვის ყველაზე ღირსშესანიშნავი, ყველაზე ძვირფასი თვეა.

ოქტომბერში იშვა მსოფლიოს პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფო და ჩვენი პლანეტის ერთ მეექვსედზე გამოცხადდა ყველაზე სამართლიანი და დემოკრატიული ხელისუფლება, ხალხის ხელისუფლება.

ოქტომბერში იქნა მიღებული სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია — განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია, რომელმაც მშრომელ ადამიანთა საუკეთესო აზრები და მისწრაფებები შეისისხლხორცა და ჩვენი ხალხის ყველა მონაპოვარი და მიღწევა დაამკვიდრა.

კომკავშირიც — პარტიისა და ხალხის იმედი და მომავალი, — ოქტომბერში იშვა, რაც სიმბოლურად გამოხატავს იმას, რომ ახალგაზრდა თაობა მუდამ ერთგულებს კომუნიზმის იდეალებს, ღირსეულად განაგრძობს მამა-პაპათა საქმეს, დიდი ოქტომბრის საქმეს, დიდი ლენინის საქმეს. (ტაში).

ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავი მარტო ჩვენი ახალგაზრდობის კი არა, მთელი საბჭოთა ხალხის დღესასწაულია. კომკავშირის სკოლა ხომ საბჭოთა ადამიანების თითქმის ყველა თაობამ გაიარა: გაიარეს იმათაც, ვინც საძირკველს უყრიდა სოციალისტურ ეკონომიკას და კულტურას საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, და იმათაც, ვინც თავისი უანგარო, თავდადებული შრომით უმაგალითო აყვავება და ძლიერება მოუტანა ჩვენს სამშობლოს, ვინც შექმნა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება.

და დღეს, ამ დარბაზს რომ გასცქერი, თითქოს თვალწინ გიდგება ლენინური კომკავშირის მთელი ისტორია.

აქ არიან ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის ვეტერანები, ისინი, ვინც პირველნი იყვნენ, ვისაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე გამოჰყვა სოციალისტური წყობილების დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის თავდადებული ბრძოლის გმირობა და რომანტიკა, ვისაც ბოლომდე შერჩა ჭაბუკური მგზნებარება, ახალგაზრდობის დაუოკებელი შემართება, ნებისმიერი სიძნელის გადალახვის მზადყოფნა.

აქ არიან ჩვენი დროის გმირებიც — ქალიშვილები და ჭაბუკები, ისინი, ვისაც კომკავშირელობად ის მიაჩნია, რომ მუდამ იქ იყოს, სადაც ყველაზე მეტად ჭირს, იყოს ყველაზე მოწინავე მიჯნებზე, ბრძოლის წინა ხაზზე.

სწორედ ეს თაობათა მემკვიდრეობითობა, ეს რევოლუციური ესტაფეტა, რომელსაც მამები გადასცემენ შვილებს, იდეათა, მისწრაფებათა და საქმეთა ერთიანობა რომ აღულაბებთ, შეადგენს ჩვენი ცხოვრების წესის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ, განმასხვავებელ ნიშანს, და

(დასასრული მე-2 გვ.).



## სახელოვან იუბილეს მიეძღვნა

თბილისში ლენინის მოედანზე სტარტი მიეცა პროფტექგანათლების სისტემის მოსწავლე-ველოსიპედისტთა ლაშქრობას მარშრუტით: თბილისი — გორი — ცხინვალი — ქუთაისი — ზუგდიდი — სოხუმი — ბათუმი — თბილისი. ლაშქრობის მონაწილენი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში კომკავშირის იუბილის დღეს — 29 ოქტომბერს დაბრუნდებიან.

„შრომითი რეზერვების" ველოსიპედისტები ამ გადასვლას უძღვნიან კომკავშირის 60 წლისთავის იუბილეს.

• • •

სურათზე: ლაშქრობის მონაწილენი თბილისში, ლენინის მოედანზე.

გ. სანაიას ტექსტი და ფოტო.

## საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში

დიდი დღესასწაული დადგა საქართველოს მიწა-წყალზე. ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან, ქვეყნის ყველა მხარედან და ოლქიდან ჩამოვიდნენ თბილისში საბჭოთა ლიტერატურის დღეებზე პოეტები, პროზაიკოსები, დრამატურგები, კრიტიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები.

გუშინ საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლები გაემართნენ თბილისის ცენტრის — ლენინის მოედნისაკენ, სადაც ბელადის მონუმენტია აღმართული. მათ ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი.

ამავე დღეს დელეგაციის წევრები მივიდნენ რუსთაველის მოედანზე — უკვდავი „ვეფხისტყაოსნის" ავტორის ძეგლთან. საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეებმა ძეგლი გვირგვინით შეამკეს.

ვ. ი. ლენინისა და რუსთაველის ძეგლების გვირგვინებით შემკობის ცერემონიალში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ხიბაძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია. (საქინფორმი).

# ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ, ვისწავლოთ ლენინურად!

დასასრული

სწორედ ეს ერთიანობაა ჩვენი მომავალი მიღწევების საწინდარი.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სახელით მხურვალედ და გულითადად, სულითა და გულით მივესალმო რესპუბლიკის კომკავშირელთა ყველა თაობას, გისურვოთ ყველას უდიდესი ბედნიერება და ახალი წარმატებანი ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჩვენი ლენინური პარტიის სადიდებლად, კომუნიზმის გასამარჯვებლად შრომაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

60 წლის მანძილზე კომკავშირში დაიზარდა და გამოიწრთო, პოლიტიკური ბრძოლის სკოლა გაიარა ათობით მილიონმა ადამიანმა. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში ორმილიონ-ნახევარი ახალგაზრდა სწავლობდა კომკავშირში ლენინიზმს, ეზიარა აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, კომუნისტურ მშენებლობაში, თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებას, სახალხო მეურნეობის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მართვას. კომკავშირელები ხომ მარტოოდენ საბჭოთა ახალგაზრდობის წინამძღოლნი კი არა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწენიც არიან და მის საიმედო საბრძოლო რეზერვს წარმოადგენენ. ასე იყო, ასეა და ასე იქნება!

სოციალიზმის მშენებლობასა და ახალგაზრდა თაობის კომუნისტურ აღზრდაში ახალგაზრდათა კავშირის ამოცანები მკაფიოდ განსაზღვრა ლენინმა 1920 წელს კომკავშირის III ყრილობაზე. მას შემდეგ თითქმის 60 წელი გავიდა, მაგრამ სიტყვა, ვლადიმერ ილიას ძემ რომ წარმოთქვა ყრილობაზე, დღესაც შუქურვარსკვლავად გვევლინება ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. ჩვენ, კომუნისტები, ნიადაგ ვეწაფებით ამ უკვდავ სიტყვას, ამ ლენინურ განაწესს, რათა განვიმსჭვალოთ ლენინური მზრუნველობით ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ვიყოთ მისი კეთილი დამრიგებელნი და წინამძღვარნი, ჩვენად ვიგულოთ ახალგაზრდა თაობის ფიქრები, მიზნები და მისწრაფებები.

60 მგზნებარე კომკავშირული წელი — ეს არის საბჭოთა ქალიშვილებისა და ვაჟკაცების შრომითი და საბრძოლო საგმირო საქმეთა განუწყვეტელი ესტაფეტა, — კომკავშირის III ყრილობაზე ლენინის ისტორიული სიტყვის მომსწრეებმა რომ გადმოსცეს თანამედროვე ახალგაზრდა თაობას, რომელიც განუხრელად ასრულებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბრძნულ მამაშვილურ რჩევა-დარიგებასა და მითითებებს, დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია მის სიტყვაში სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაზე.

ლეონიდ ილიას ძემ თქვა, რომ უფროსი თაობის კომუნისტებს შეუძლიათ კმაყოფილი იყვნენ დღევანდელი საბჭოთა ახალგაზრდობისა. იგი იზრდება კომუნისტურად მტკიცე, პარტიის საქმის, ლენინის საქმის ორმად ერთგული, გვიჩვენებს ვაჟკაცობის, შეუპოვრობის, ოქტომბრის იდეალების ერთგულების მაგალითს.

ეს შეფასება ნათლად გამოხატავს, რომ პარტიას სჯერა ახალგაზრდობისა, ენდობა ახალგაზრდობას, სწამს, რომ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში თამამად შეიძლება დაეყრდნოს ახალგაზრდა თაობას, რომელიც კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში დგას.

ამის საწინდარია ჩვენი ქალიშვილებისა და ვაჟკაცების თავდადებული შრომა, ფრიადზე სწავლა, რევოლუციური შემართება. ფაბრიკა-ქარხნებში და მშენებლობებზე, ყანებსა და ფერმებში, სტუდენტთა აუდიტორიებში და სკოლის მერხთან. შეიარაღებული ძალების რიგებში კომკავშირი გვიჩვენებს ჭეშმარიტი გმირობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის მაგალითებს.

ჩვენს რესპუბლიკაში არ არის ეკონომიკის ისეთი დარგი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფერო, სადაც ახალგაზრდებს, კომკავშირელებს არ ესახელებინოთ თავი. 2.300-ზე მეტი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა და 65 ათასამდე ახალგაზრდა კომუნისტური შრომის დამკვრელი სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია საზოგადოებრივი წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, 440 ათასი ქალიშვილი და ვაჟი აქტიურად ჩაება მოძრაობაში დევიზით „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდათა ენთუზიაზმი და შემოქმედება!“.

ახალგაზრდებმა შესანიშნავი შრომითი მიღწევები მოიპოვეს. უკვე 137 ათასმა ქალიშვილმა და ვაჟმა უპატაკა სამშობლოს ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულება. 550 ახალგაზრდა, რომლებიც გმირული შრომის მაგალითს გვიჩვენებენ, მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს.

ჩვენი ქალიშვილები და ვაჟკაცები მუდამ არიან სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო წარმოების, მომსახურების სფეროს გადამწყვეტ უბნებზე. კომკავშირს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩამორჩენილ საწარმოთა დაწინაურებისათვის, სახელმწიფო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის გაშლილ მოძრაობაში.

მრეწველობაში კომკავშირი უკვე შეფობას უწევს ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ერთი მესამედის გამოშვებას. სულ უფრო მეტი ახალგაზრდა მუშა უშვებს პროდუქციას პირადი დამღით, კომკავშირული გარანტიით და აბარებს პირველი წარდგენისთანავე.

წელს ახალგაზრდების გარჯის წყალობით აღებულია ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების რეკორდული მოსავლის ნახევარზე მეტი. კომკავშირის დამკვრელური საქმე გახდა მეცხოველეობა, სადაც კომკავშირული საგზურებით ყოველწლიურად მიდის 1500 ქალიშვილი და ვაჟი, რესპუბლიკის ბევრ რეგიონში ყოველი მეორე მექანიზატორი კომკავშირელია. ასე საქმიანად უპასუხებს კომკავშირი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რითაც უდიდეს დახმარებას უწევს პარტიას აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში.

ამ დღეებში ამოქმედდება დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის — ენგურჰესის პირველი აგრეგატი. ეს, ამხანაგებო, დიდი, შესანიშნავი საჩუქარია კომკავშირის იუბილესათვის, დიდი ოქტომბრის წლისთავისათვის. ეს ასობით და ათასობით ახალგაზრდის დაძაბული, შემოქმედებითი მუშაობის შედეგია. **(ტაში).**

ანდა, რამდენი მიღწევა აქვთ კომკავშირელებს — საქართველოს წარგზავნილებს ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე — საუკუნის მშენებლობაზე! რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ავიღოთ, თუნდაც, სტუდენტთა მესამე შრომითი სემესტრი და მოსწავლეთა მეხუთე შრომითი მეოთხედი: ამ ზაფხულს ჩვენმა მოსწავლე ახალგაზრდობამ 58 მილიონი მანეთის სამუშაოები შეასრულა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში ახალგაზრდობის როლის ზრდას მოწმობს აგრეთვე ცვლილებები, რომლებიც უკანასკნელ ხანს მოხდა კომკავშირული ორგანიზაციის თვისებრივ შემადგენლობაში. დღეს კომკავშირელებს შორის მომუშავე ახალგაზრდობის ხვედრითი წონა 56 პროცენტს შეადგენს. მომუშავე კომკავშირელთა სამ მეოთხედს მუშები და კოლმეურნეები — მატერიალური დოვლათის უშუალო შემქმნელნი შეადგენენ.

დღევანდელი კომკავშირი — ეს არის ორგანიზაცია მაღალგანვითარებული ადამიანებისა, რომლებიც ნიადაგ იმაღლებენ ცოდნის დონეს, განუწყვეტლივ ეძებენ თავიანთი ნიჭის, უნარის, შესაძლებლობის გამოვლენის ყველაზე ეფექტიან გზებს. კომკავშირელთა 70 პროცენტს აქვს უმაღლესი, საშუალო სპეციალური და ზოგადი საშუალო განათლება, ხოლო ყოველი მეოთხე სწავლობს. 14 ათასი მეცნიერი მუშაკი, 11 ათასი გამომგონებელი და რაციონალიზატორი, რესპუბლიკის შემოქმედებითი მუშაკთა მრავალრიცხოვანი რაზმის წევრები კომკავშირელები არიან.

რესპუბლიკის ცხოვრებაში კომკავშირის როლი განსაკუთრებით გაიზარდა ამ ბოლო წლებში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ადგილობრივი პარტიული ორგანოები თანამიმდევრულად ახორციელებენ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი აყვავებისათვის, ჩვენს ცხოვრებაში შემორჩენილი უარყოფითი მოვლენების სრული აღმოფხვრისათვის გაჩაღებული ბრძოლის ყველაზე გადამწყვეტ უბნებზე ახალგაზრდობის თამამი დაწინაურების კურსს.

საქართველოს კომკავშირის ყველა წამოწყებასა და თაოსნობას დიდ მხარდაჭერას უწევენ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, ყველა კომუნისტი. პარტიული კომიტეტები მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებენ კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობას, წარმართავენ მათს ძალებს მთავარი, უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაწყვეტად.

იმათგან, ვინც პარტიის რიგებში შედის, კომკავშირელები სამ მეოთხედს შეადგენენ. კომკავშირში მუშაობს 28 ათასამდე კომუნისტი. მათი მეშვეობით ხორციელდება პარტიისა და კომკავშირის ყოველდღიური მჭიდრო კავშირი.

კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის ამოცანები მიმდინარე ხუთწლედისა და უფრო შორეული პერსპექტივისათვის მკაფიოდ განისაზღვრა სკკპ XXV ყრილობაზე, სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში. ეს რთული, პასუხსაგები და საპატიო ამოცანებია.

არა მგონია შევცდე, თუ ვიტყვი, რომ საქართველოს კომკავშირს კარგად აქვს შეგნებული მთელი ამ ამოცანების სირთულე, ნათლად ხედავს მიჯნებს, რომლებიც უნდა დაძლიოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად; ხედავს იმ საფეხურებს, რომლებზეც უნდა დაწინაურდეს, რათა გააუმჯობესოს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა. მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა პირნათლად გაართმევს თავს ყველა ამ დიდსა და მნიშვნელოვან ამოცანას. **(ტაში).**

ამისათვის კი საჭიროა, რომ ჩვენი ახალგაზრდები კვლავაც ყველგან და ყველაფერში გამოდიოდნენ ყოველივე ახლის, ყოველივე პროგრესულის თაოსნებად, კიდევ უფრო აქტიურად ებრძოდნენ ყოველივე ყავლგასულს, ფორმალიზმსა და ბიუროკრატიზმს, უფრო თამამად ნერგავდნენ წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლეს მიღწევებს, ეხმარებოდნენ ჩამორჩენილებს, რომლებიც ვერ ასრულებენ საგეგმო დავალებებს, უშვებენ მდარეხარისხოვან პროდუქციას.

ნოემბერში ვაპირებთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევას, რომელზეც კაპიტალური მშენებლობის პრობლემები უნდა განვიხილოთ. კარგად მოგეხსენებათ, ამხანაგებო, რომ ეს ძნელი პრობლემებია და რომ სამშენებლო ორგანიზაციებში ყველაფერი ვერა გვაქვს რიგზე. ჩვენ გვჯერა, რომ კომკავშირი აქაც იტყვის თავის სიტყვას.

ჩვენი სოფლის კომკავშირელები უფრო შეუპოვრად უნდა იღვწოდნენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახალგაზრდა მექანიზატორთა რიცხვი სოფლად უფრო სწრაფად გაიზრდება.

პარტიულ ორგანოებთან ერთად კომკავშირმა მართებს უფრო თამამად და ენერგიულად წყვეტდეს სოფლის სოციალურ პრობლემებს, მის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხებს, რითაც შეაჩერებს სოფლის ახალგაზრდობის სტიქიურ მიგრაციას.

ჩვენ კომკავშირისაგან კიდევ უფრო მეტ დახმარებას მოველით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, მომსახურების სფეროს მუშაობის მოწესრიგებაში, ამ დარგში მტკიცე სახელმწიფო წესრიგის დამყარებაში. ამისათვის კი მომსახურების სფეროს ახალგაზრდა მუშაკები გატაცებით და ხალისიანად უნდა შრომობდნენ, აქსოვდნენ დაკისრებულ საქმეს თავიანთი სულის მთელ მგზნებარებას, ენთუზიაზმსა და ენერგიას.

ჩვენ გვწამს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა უმაღლესი სასწავლებლების, სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების მეთაურობით კვლავაც შეუპოვრად და ბეჯითად დაეუფლება ცოდნას, რათა გახდნენ სახალხო მეურნეობის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა არმიის ღირსეული წევრები, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები.

პარტიას კომკავშირის მთავარ ამოცანად მიაჩნია ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდა, მისი იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი გამოწრთობა, ახალგაზრდობის სულიერი გამდიდრება. ჩვენი ქალიშვილები და ვაჟკაცები უნდა გაიზარდონ ისეთ ადამიანებად, რომლებისთვისაც საზოგადოების საკეთილდღეოდ შრომა ერთდროულად ცხოვრებისეული მოთხოვნილებაც არის და შვების მომნიჭებელი სიხარულიც. უნდა დადგნენ მტკიცე კომუნისტური მრწამსის მქონე ადამიანებად, რომლებსაც უნარი შესწევთ საკადრისი პასუხი გასცენ ბურჟუაზიული პროპაგანდის, ჩვენი კლასობრივი მტრების ხრიკებს, ადამიანებად, რომლებიც ყველგან და ყველაფერში იცავენ სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს, თავიანთი პირადი მაგალითით უწყობენ ხელს კომუნისტური მორალისა და ზნეობის ნორმების დამკვიდრებას, ნიადაგ ეწაფებიან ახალ ცოდნას, ეზიარებიან კაცობრიობის კულტურის საგანძურს. ისინი უნდა იყვნენ ჭეშმარიტი პატრიოტები და ინტერნაციონალისტები, რომლებსაც უნარი შესწევთ მთელი თავიანთი ძალ-ღონე და, თუ საჭირო გახდა სიცოცხლეც მოახმარონ საბჭოთა სამშობლოს ბედნიერებას, ყოველნაირად განამტკიცებდნენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას და ძმობას, წინაღუდგნენ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებას.

სასიხარულოა, რომ საქართველოს კომკავშირი სწორედ ამ ამოცანების გადასაჭრელად იღვწის. რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციაში 70-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები არიან გაერთიანებულნი, და ყველანი ხელჩახელჩაკიდებულნი, ერთმანეთის მხარდამხარ, ერთად ცხოვრობენ, მუშაობენ და სწავლობენ.

როგორც რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სხვა დიდმნიშვნელოვან მოვლენაში, ჩვენს დღევანდელ საზეიმო სხდომაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებს არმიის ახალგაზრდობა. და ეს კიდევ ერთი ნათელი გამოხატულებაა ჩვენი სახელოვანი ლენინური კომკავშირის და სსრ კავშირის გმირული შეიარაღებული ძალების, საქართველოს კომკავშირის და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქების მამაც მეომართა ურღვევი თანამეგობრობის, განუყრელი კავშირისა, რომელიც წლითიწლობით სულ უფრო მტკიცდება. როცა კომკავშირის უქრობ საბრძოლო ტრადიციებზე ვლაპარაკობთ, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ჩვენი დიადი სამშობლოს სამხრეთის საზღვრებთან მდებარე რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების დღევანდელი ამოცანების მნიშვნელობა. უნდა აღვნიშნოთ, რომ საჭიროა ყოველმხრივ გაძლიერდეს ჩვენი ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, გაუმჯობესდეს მისი პოლიტიკური, მორალური და ფიზიკური წრთობა, რათა მზად იყოს საბჭოთა არმიის რიგებში ლენინური სამსახურისათვის, [illegible] დასაცავად.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, ამ საზეიმო დღესაც, ამ სადღესასწაულო დღესაც ჩვენს მოვალეობად მივიჩნიეთ გვეთქვა ისიც, რომ რესპუბლიკის კომკავშირს უთუოდ შეუძლია და უნდა გააკეთოს კიდევ მეტი, შეუძლია და უნდა იმუშაოს კიდევ უფრო კარგად, მხარი უსწოროს კომუნისტებს. კომკავშირელები, როგორც სჩვევიათ, არ უნდა სჯერდებოდნენ მიღწეულს, უნდა ჩავაბათ თითოეული. ვიმეორებ თითოეული ახალგაზრდა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი დამკვიდრებისათვის გაჩაღებულ აქტიურ ბრძოლაში, მივუჩინოთ თითოეულ მათგანს თავისი ადგილი ამ ბრძოლაში, დავუსახოთ კონკრეტული ამოცანები და შევამოწმოთ, როგორ ასრულებენ ამ ამოცანებს. ყოველი ახალგაზრდა უნდა გავიტაცოთ საინტერესო, საზოგადოებისათვის სასარგებლო კონკრეტული საქმით, რომელშიც მაქსიმალურად გამოვლინდება ადამიანის ნიჭი და მოწოდება, უნარი და შესაძლებლობა. ახალგაზრდობისათვის მაღალი ზნეობრივი საფუძვლების ჩამოყალიბების ყველაზე ეფექტიანი გზების ძიება ჩვენ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ასპარეზად მიგვაჩნია, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას, განსაკუთრებულ გულისხმიერებასა და მიდგომას მოითხოვს.

ამხანაგებო!

დღეს რესპუბლიკაში დამთავრდა სრულიად საკავშირო კომკავშირული კრება „ლენინის ანდერძის ერთგულნი ვართ!“. მისმა მონაწილეებმა პარტიას, ხალხს უპატაკეს ახალგაზრდობის შესანიშნავი მიღწევები, რომლებიც ლენინური კომკავშირის იუბილეს ეძღვნება.

კომკავშირულ ორგანიზაციებში გრძელდება ანგარიშგება-არჩევნების კამპანია. იგი მაღალ დონეზე მიმდინარეობს და მოწმობს, რომ ჩვენს ახალგაზრდობას კარგად აქვს შეგნებული, თუ რამდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება რესპუბლიკის, თითოეული საწარმოს, ყოველი მშენებლობის, თითოეული დაწესებულების საქმის ვითარებისათვის, კომკავშირელები ერთსულოვნად მოახსენებენ უდიდეს მადლობას პარტიას ახალგაზრდა თაობაზე ზრუნვისათვის, ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ ჭეშმარიტად ტიტანური შრომისათვის.

ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ დღეს ჩვენც, კომუნისტებს, უფროსი თაობის ადამიანებს, რომლებსაც გამოვლილი გვაქვს კომკავშირის სკოლა, გვინდა ჯეროვანი პატივი მივაგოთ კომკავშირს მისი იუბილეს დამდეგს ყველაფრისათვის, რაც მას გაუკეთებია და რასაც აკეთებს ჩვენი სამშობლოს ასაყვავებლად, კომუნიზმის გასამარჯვებლად. მადლობა შენდა, კომკავშირო, მე ასე ვიტყვი, მადლობა შენდა, ჩვენო მშობლიურო კომკავშირო, ჩვენო იმედო და ჩვენო მომავალო მგზნებარე ახალგაზრდათა — ენთუზიასტთა, ნოვატორთა, რომანტიკოსთა კავშირო! **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ რესპუბლიკის კომკავშირი კვლავაც პარტიის საქმის, მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვების, საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იქნება, და მუდამ წმიდად შეასრულებს ჩვენი პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს დამაარსებლის — დიდი ლენინის განაწესს.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, კიდევ ერთხელ სულით და გულით მივულოცო რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციას, მთელ ჩვენს ახალგაზრდობას კომკავშირის სახელოვანი მე-60 წლის იუბილე, და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დავალებით გადმოგცეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო წითელი დროშა, რომლითაც რესპუბლიკის კომკავშირი დაჯილდოვდა შრომაში, სწავლაში, ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მოპოვებული დიდი გამარჯვებებისათვის! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

# უმაღლესი ლიგა

ლენინგრადში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „ზენიტსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის.

გამარჯვა „ზენიტმა“ ანგარიშით 1:0.

# პირველი ლიგა

## მონდომებამ შედეგი გამოიღო

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 26 ოქტომბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 3:1 (2:0).

„ტორპედო“: მჭედლიძე, შელია, გოგოლაძე, მელიქია, ფარულავა (ბურკაძე), ოქროპირაშვილი, სვანაძე, ქვირია (კვაჭანტირაძე), ფესტვენიძე, ა. კვერნაძე, ებანოიძე.

„ყუბანი“: არტიომენკო, კორეცკი, კოროვკინი, რიბაკი, ლავოლინი (ჩებოტარიოვი), შიტიკოვი (კაზაკოვი), ბატარინი, ფურსა, პლოშნიკი, ხემენიუკოვი, აბრამოვი (ანდრეიჩენკო).

მსაჯი ა. ბუროვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 0:2.

ქუთაისის ტორპედოელებს შეცვალათ ხელმძღვანელობა და გუნდის უფროსი მწვრთნელის მოვალეობას ასრულებს სპორტის ოსტატი თ. გრძელიშვილი. საკმაოდ ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ გუნდის წინაშე ახალი ამოცანები დაისახა, ამიტომ მას განახლებული ძალით უხდება ბრძოლა სატურნირო ცხრილში მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ მატჩშიც, სადაც ტორპედოელებს მეტოქედ გათამაშების ცხრილში მათზე წინ მდგომი გუნდი ჰყავდა, მასპინძლებმა გამოიჩინეს გამარჯვებისადმი სწრაფვა და დამსახურებულ მოგებასაც მიაღწიეს. მართალია, „ყუბანს“ დასაწყისში რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შეექმნა, მაგრამ „ტორპედოს“ დაცვამ და მეკარემ მოიგერიეს ყველა ხიფათი და 22-ე წუთზე თვით მიაღწიეს წარმატებას: ფესტვენიძისგან მიღებული ბურთი კვერნაძემ შეუჩერებლივ გაგზავნა მეტოქის კარში. ათიოდე წუთის შემდეგ ფესტვენიძემ საუთრივ შეასრულა გარღვევაც და გადამწყვეტი დარტყმაც, რის შემდეგ „ყუბანის“ კარში მეორე გოლი გავიდა.

შესვენების შემდეგ ქუთაისელები განაგრძობდნენ იერიშებს, რაც 62-ე წუთზე კვერნაძის მიერ გატანილი მესამე გოლით დამთავრდა. კრასნოდარელებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ 75-ე წუთზე თავი დააღწიეს „მშრალი“ ანგარიშით დამარცხებას (პლოშნიკი).

**შ. ნიჟარაძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „შინიკი“ (იაროსლავლი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 0:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — ასკ (ოდესა) 0:0, ასკ (დონის როსტოვი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 3:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „კუზბასი“ (კემეროვო) 3:1, „პამირი“ (დუშანბე) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 2:0, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „კარპატი“ (ლვოვი) 1:1.

# მეორე ლიგა

**25 ოქტომბერს** გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ ამ შეხვედრათა შესახებ:

## „დინამო“ (ზუგდიდი) — „დინამო“ (კიროვი) 4:1

თანაკლუბელთა მატჩი საინტერესო, ორმხრივი იერიშებით აღსავსე ბრძოლაში ჩატარდა, თუმცა მასპინძლებს თავიდანვე ჰქონდათ საგრძნობი უპირატესობა. ზუგდიდის „დინამოს“ რიგებში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თავდამსხმელი დარჯანია, რომლის წინააღმდეგ კიროველებმა ვერაფერი გააწყეს: გამარჯვებულთა ყველა 4 გოლი ეკუთვნის დარჯანიას.

სტუმრების მეკარე სერგეევი უკვე მე-5 წუთზე შექნა იძულებული ბადიდან გამოეტანა ბურთი დარჯანიას ზუსტი თავური დარტყმის შემდეგ. ტაიმის დამთავრებამდე სერგეევისა და დარჯანიას ეს „დუელი“ კიდევ ორჯერ დამთავრდა თავდამსხმელის სასარგებლოდ — 3:0.

მეორე ტაიმში ზუგდიდელთა კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც კარგად გამოიყენა ზიკოვმა, მაგრამ თამაშის დასასრულს დარჯანიამ საბოლოო წერტილი დაუსვა მატჩის ანგარიშს.

**გ. ალშიბაია.**

## „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) 4:0

ლოკომოტიველებმა ეს მატჩი განსაკუთრებული აღმავლობით ჩაატარეს. მათ ჯერ კიდევ პირველ ტაიმში შეეძლოთ შეექმნათ გამარჯვების გარანტია, მაგრამ სტუმრებმა მრავალ სახიფათო მომენტს დააღწიეს თავი. როგორც კი განახლდა თამაში შესვენების შემდეგ, ცუცქირიძის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის დაინიშნა პენალტი და ანგარიში გახსნა ქორიძემ. შემდეგ დვალიშვილმა, ჩახუნაშვილმა და ცუცქირიძემ კიდევ 3 ბურთი გაიტანეს „დრუჟბის“ კარში და გამარჯვება დიდი ანგარიშით სამტრედიელებს ხვდათ წილად.

**ა. სირაძე.**

## „დინამო“ (ბათუმი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 2:0

ბათუმის დინამოელებმა ბოლო ხანებში ნაწილობრივ გამოასწორეს მდგომარეობა და ახლა იბრძვიან ცხრილში საიმედო ადგილის განმტკიცებისთვის. ზენიტელებმა დასაწყისში რამდენიმეჯერ სახიფათოდ შეუტიეს, შემდეგ დინამოელებმა გაათანაბრეს თამაში და მე-15 წუთზე დაწინაურდნენ კიდეც. გოლი იჟევსკელთა კარში გაიტანა გორგილაძემ. გავიდა ორიოდე წუთი, „ზენიტის“ მეკარე შკუნდინთან პირისპირ აღმოჩნდა ბათუმელი კაკალაძე, მაგრამ მეკარემ გაბედულად ითამაშა და მოიგერია უძნელესი ბურთი.

მეორე ტაიმში ბათუმელებს ერთ-ერთი იერიშის შემდეგ [illegible] კუთხურის [illegible] უფლება. ბეჟანიძის მიერ [illegible] ბურთი უშუალოდ „გავიდა“ კარში — 2:0. დარჩენილ დროში იჟევსკელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ცვლილების შეტანა ანგარიშში ვერ შეძლეს.

**გ. მურვანიძე.**

ლანჩხუთის „გურიამ“ ამ დღეს თავის მინდორზე მიიღო ნიჟნი ტაგილის „ურალეცი“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:2. გორის „დილისა“ და ყაზანის „რუბინის“ შეხვედრაში გამარჯვება გორელებს ხვდათ წილად — 4:3.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ტორპედო“ (ტოლიატი) 0:0, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) 3:0, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „გასტელო“ (უფა) 1:0. სტეფანაკერტის „ყარაბახს“ გამარჯვება ჩაეთვალა ორენბურგის „გაზოვიკთან“.

# საქართველოს პირველობა

## II ჯგუფი

### I ზონა

„თრიალეთი“ (წალკა) — „განახლება“ (ადიგენი) 2:0, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 3:0, „იორი“ (თიანეთი) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 4:2, „ალაზანი“ (გურჯაანი) — ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) 2:3, „თრიალეთი“ (წალკა) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 2:0, „აბული“ (ახალქალაქი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 5:2, „არაგვი“ (მცხეთა) — „ვარძია“ (ასპინძა) 1:3, „ცისკარი“ (სიღნაღი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 2:2.

### II ზონა

„ოჯალეში“ (ბანძა) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 0:2, „მეშაქრე“ (აგარა) — „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) 1:1, „სენაკი“ (ცხაკაია) — „მეშაქრე“ (აგარა) 3:1, „ავტომობილისტი“ (აბაშა) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 1:0, „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 0:3, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „სულორი“ (ვანი) 1:2, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 1:0, „ოჯალეში“ (ბანძა) — „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) 1:1, „შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „მექალალდე“ (ზუგდიდი) 1:0, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „გიგანტი“ (ლაითური) 3:0.

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 28 ოქტომბრისთვის

### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მესხეთი“ | 31 | 24 | 3 | 4 | 71—29 | 51 |
| „სიონი“ | 30 | 23 | 3 | 4 | 84—35 | 49 |
| ტაქს. № 3 | 30 | 21 | 5 | 4 | 51—19 | 47 |
| „ვარძია“ | 30 | 18 | 6 | 6 | 64—35 | 42 |
| „აბული“ | 31 | 17 | 4 | 10 | 41—38 | 38 |
| „განახლება“ | 30 | 13 | 8 | 9 | 55—43 | 34 |
| „ალაზანი“ | 28 | 12 | 7 | 9 | 68—47 | 31 |
| „იორი“ | 31 | 14 | 3 | 14 | 63—64 | 31 |
| „განთიადი“ | 30 | 11 | 7 | 12 | 65—44 | 30 |
| „გარეჯი“ | 31 | 12 | 6 | 13 | 49—48 | 30 |
| „ქართლი“ | 31 | 12 | 5 | 14 | 73—52 | 29 |
| „არაგვი“ | 31 | 7 | 9 | 15 | 45—51 | 23 |
| „ფიჩხოვანი“ | 30 | 8 | 7 | 15 | 45—65 | 23 |
| „თრიალეთი“ | 31 | 9 | 4 | 18 | 40—61 | 22 |
| „ბახტრიონი“ | 29 | 5 | 11 | 13 | 26—49 | 21 |
| „გარისი“ | 30 | 7 | 7 | 16 | 39—69 | 21 |
| „ჰერეთი“ | 29 | 7 | 5 | 17 | 39—81 | 19 |
| „ცისკარი“ | 31 | 6 | 6 | 19 | 39—81 | 18 |
| „გამარჯვება“ | 30 | 4 | 8 | 18 | 48—94 | 16 |

### II ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იმერეთი“ | 28 | 22 | 5 | 1 | 71—24 | 49 |
| „სულორი“ | 29 | 23 | 3 | 3 | 67—28 | 49 |
| „შუქურა“ | 29 | 21 | 5 | 3 | 58—19 | 47 |
| „ბახმარო“ | 28 | 16 | 7 | 5 | 65—33 | 39 |
| „ჩამომსხმელი“ | 29 | 12 | 7 | 10 | 44—42 | 31 |
| „ავტომ.“ ა. | 29 | 10 | 7 | 12 | 28—35 | 27 |
| „მექალალდე“ | 28 | 12 | 2 | 14 | 46—38 | 26 |
| „სენაკი“ | 29 | 8 | 9 | 12 | 41—44 | 25 |
| „ნაკადული“ | 30 | 9 | 7 | 13 | 47—53 | 25 |
| „ავტომ.“ ბ. | 29 | 9 | 7 | 13 | 39—53 | 25 |
| „შახტიორი“ | 29 | 11 | 2 | 16 | 33—46 | 24 |
| „სამგურალი“ | 29 | 6 | 11 | 12 | 23—40 | 23 |
| „ნარუჯა“ | 28 | 8 | 7 | 13 | 22—43 | 23 |
| „გიგანტი“ | 29 | 7 | 8 | 14 | 40—58 | 22 |
| „მეშაქრე“ | 28 | 6 | 10 | 13 | 39—58 | 22 |
| „ოჯალეში“ | 29 | 8 | 5 | 17 | 37—60 | 21 |
| „ავტომ.“ მ. | 28 | 7 | 3 | 18 | 40—58 | 17 |
| „ავტომ.“ გ. | 17 | 4 | 3 | 10 | 18—26 | 11 |

* * *

29 ოქტომბერს იწყება ზონალური პირველობის ფინალური თამაშები. I ტურში ერთმანეთს ხვდებიან „ღრმაღელე“ (ლანჩხუთი) — „ლესიჭინე“ (ჩხოროწყუ), ჩაის საბჭოთა მეურნეობა (ჩაქვი) — „მადნეული“ (ბოლნისი).

## საჯარიმო დარტყმა

რესპუბლიკური გათამაშების განვლილ შეხვედრებში რამდენიმე ფეხბურთელის მხრივ ადგილი ჰქონდა ხულიგნურ გამოხდომებს, რისთვისაც მათ მიმართ მიღებული უნდა იქნას უმკაცრესი ზომები. მატჩის დამთავრების შემდეგ მსაჯს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა წულუკიძელმა შ. ჩარგეიშვილმა. ასეთივე საქციელისთვის მინდვრიდან გაძევებულია თბილისის არმიელთა გუნდის წევრი ზ. კუპრავა. საჩხერელმა ი. მახარაძემ უხამსი სიტყვებით მიმართა არბიტრს, რისთვისაც იგი, აგრეთვე, გაძევებული იქნა მინდვრიდან.

გაფრთხილებები მიეცათ შემდეგ ფეხბურთელებს: გ. ფულიაშვილს („დურუჯი“, ყვარელი), გ. აუშტროვს („ჩიხურა“, საჩხერე), რ. თოფურიას („ავტომობილისტი“, აბაშა), თ. მელაძეს („იმერეთი“, წულუკიძე).

მეორედ არიან გაფრთხილებული ტყიბულელი დ. გვენეტაძე და წულუკიძელი ბ. უგულავა.

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**

# ევროპის ჩემპიონატი

განვლილ ოთხშაბათს გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის რამდენიმე შესარჩევი მატჩი.

### I ჯგუფი

დუბლინში ერთმანეთს შეხვდნენ ირლანდიისა და ინგლისის ნაკრები გუნდები. ანგარიში გახსნეს სტუმრებმა (ლეტჩფორდი), მაგრამ დეილიმ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1.

ამავე ჯგუფში ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს დანიის გუნდი და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში დაწინაურდნენ სტუმრები (ენსენი), მაგრამ საბოლოო გამარჯვება მასპინძლებს ხვდათ წილად (სპინსი, ანდერსონი).

ინგლისის, ჩრ. ირლანდიისა და ირლანდიის გუნდებს დაგროვილი აქვთ 3-3 ქულა.

### III ჯგუფი

საინტერესო გამოდგა მატჩი ბუქარესტში რუმინეთისა და იუგოსლავიის გუნდებს შორის. აქ ჯერ წინ გავიდნენ იუგოსლავიელები, რომელთა მხრივ თავი გამოიჩინა პეტროვიჩმა, მაგრამ მეორე ტაიმში სამესისა (2) და იორდანესკუს ზუსტი დარტყმების შემდეგ დაწინაურდნენ რუმინელები. მატჩის ბოლო წუთზე დესნიცამ შეძლო სხვაობის შემცირება და გამარჯვება რუმინელებს ხვდათ წილად — 3:2.

### VII ჯგუფი

აქ გაიმართა პირველი შეხვედრა უელსისა და მალტის გუნდებს შორის. უელსელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე — 7:0 (2:0).

## 0:0

**ბუდაპეშტი,** 27 ოქტომბერი. უნგრეთისა და სსრ კავშირის იუნიორ ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდებმა აქ ჩაატარეს უეფა-ს ტურნირის პირველი შესარჩევი მატჩი (გათამაშების ფინალური ნაწილი გაიმართება მომავალ წელს).

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.



## ბესტი დისკვალიფიცირებულია

ჩრ. ირლანდიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე, განთქმული ფეხბურთელი ჯორჯ ბესტი ფიფა-ს მიერ 10 თამაშით იქნა დისკვალიფიცირებული მას შემდეგ, რაც მან თავისი ახლანდელი კლუბის „ფულჰემის“ უნებართვოდ ავსტრიის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარა მატჩი აშშ-ს პროფესიული კლუბის „დეტროიტ ექსპრესის“ შემადგენლობაში.

## კისინჯერი — პრეზიდენტი

აშშ-ს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ჰენრი კისინჯერი არჩეულია ჩრდილოეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად. მისი მიზანია 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ჩატარდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

## „კოსმოსი“ მარცხდება

20.000 მაყურებელი დაესწრო აშშ-ს პროფესიული კლუბის „ნიუ იორკ კოსმოსის“ შეხვედრას იუგოსლავიის „პარტიზანთან“. ეს მატჩი იუგოსლაველთა გამარჯვებით დამთავრდა — 6:4. მომდევნო შეხვედრაში, რომელიც სტამბოლში გაიმართა, „კოსმოსი“ კვლავ დამარცხდა „გალათასარაისთან“ — 0:2. ევროპაში ჩატარებული 9 მატჩიდან „კოსმოსმა“ წააგო 5.



# ანატოლი კარპოვი მოსკოვში

„მეტისმეტად მიხარია ოთხი თვის შემდეგ მშობლიურ მიწაზე დაბრუნება: აღელვებული ვარ განსაკუთრებით თბილი შეხვედრით, განვიცდი იმ ადამიანის სიხარულს, რომელმაც ვალი მოიხადა“.

ასეთი იყო ანატოლი კარპოვის პირველი სიტყვები მას შემდეგ, რაც იგი 26 ოქტომბერს დილით მოსკოვს ჩაფრინდა ბაგიოს დამქანცველი ორთაბრძოლის შემდეგ.

შერემეტიევოს აეროპორტში დილის საათების მიუხედავად რამდენიმე ასეული მოსკოველი მოვიდა. მსოფლიოს ჩემპიონი გადაღლილი გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც სიამოვნებით პასუხობდა ჟურნალისტების მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

შეხვედრაზე გამოვიდა ლენინგრადის კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. კოლიაკინი, რომელმაც გამოაცხადა, რომ გამოვლენილი მამაცობისთვის, გამარჯვებისადმი სწრაფვისთვის ანატოლი კარპოვი დაჯილდოებულია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო ნიშნით.

დასასრულს ა. კარპოვმა თქვა: „ამ მატჩის მოგება არ იყო იოლი. რასაკვირველია, ძალიან დავიღალე, ამიტომ არ ვითამაშებ ბუენოს-აირესში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე, მაგრამ „მოთამაშე ჩემპიონად“ დავრჩები“.

მსოფლიო ჩემპიონმა აღნიშნა, რომ თუმცა პარტიების რიცხვის განუსაზღვრის გარეშე მატჩმა ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოიწვია, არ შეიძლება იგი წინასწარ განწირულად ჩაითვალოს, რადგან მას თავისი დადებითი მხარეები გააჩნია.

* * *

**სურათზე:** შეხვედრა აეროპორტში.

# დაჯილდოება

**რესპუბლიკაში** ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების 60 წლისთავის გამო **რესპუბლიკის სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდა საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე **ი. ი. ბოქორიძე.**

* * *

**აფხაზეთსა** და საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სპორტკომიტეტის სიგელით** დაჯილდოვდა „კოლმეურნის“ აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **ზ. მიქელაძე.**

# „ბურევესტნიკის" ესტაფეტა გზაშია

21 ოქტომბერს ბათუმში სტარტი მიეცა რესპუბლიკურ ესტაფეტას „სწავლა, სპორტი, კომკავშირი", რომელსაც სტუდენტთა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს სსრ განათლების უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების პროფკავშირის კომიტეტი ატარებს. კომკავშირის 60 წლის იუბილის აღსანიშნავად ესტაფეტა გაივლის სოხუმს, ქუთაისს, გორს, ცხინვალს, თელავს და კვარას, 29 ოქტომბერს თბილისში დამთავრდება.

რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში უკვე ორ თვეზე მეტია ეწყობა სტუდენტთა მასობრივი სტარტები, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩატარება, ტურისტული შეკრებები და ლაშქრობები; კომკავშირელები და ახალგაზრდები ხვდებიან შრომის, სპორტის ვეტერანებს, კომკავშირის ძველ წევრებს, ეწყობა თემატიკური საღამოები...

ზეიმის დღეებში კიდევ უფრო გააქტიურდა სპორტული მუშაობა, კიდევ უფრო განმტკიცდა სპორტული კლუბებისა და კომკავშირის კომიტეტების კავშირი. ესტაფეტის მოგზაურობის დღეებში ბევრმა სპორტკლუბმა მოამზადა წლიური დავალებების შესრულების პატაკი, რომლებშიც ლაპარაკია ფიზკულტურასა და სპორტში, სწავლაში მოპოვებულ წარმატებებზე.

თბილისის უცხო ენების, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და გორის პედინსტიტუტის კოლექტივებმა უკვე უპატაკეს გეგმებისა და ვალდებულებების შესრულება.

40-ზე მეტი სპორტის ოსტატი, 4 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ათასობით სპორტსმენი-თანრიგოსანი და მშდ კომპლექსის ნიშნოსანი — ასეთია „ბურევესტნიკის" წვლილი საიუბილეო „კომკავშირულ ყულაბაში".

კომკავშირის დაბადების დღეს — 29 ოქტომბერს ათასობით სტუდენტი-ფიზკულტურელის მონაწილეობით მოეწყობა ტურისტული ლაშქრობები ი. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, ფუნიკულიორზე. კუს ტბაზე შედგება ტურისტული შეკრება, ჩატარდება შეჯიბრებები, აქვე მოვა „ბურევესტნიკის" მოტოციკლისტთა და ველოსიპედისტთა კოლონა, რომელიც უკანასკნელ ეტაპზე მოიტანს ესტაფეტას. აქვე მოეწყობა საზეიმო პატაკი, რომელიც საბოლოოდ საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმს გადაეცემა.

სტუდენტთა ამ სპორტულ დღესასწაულისთვის კარგად მოემზადნენ თბილისის უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და [illegible] სხვა უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდის კათედრები. სტუდენტთა სპორტ[illegible] კომკავშირის იუბილის [illegible] და აქტივისტებს, რომლებმაც თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს ესტაფეტის ჩატარებაში.

ესტაფეტა „სწავლა, სპორტი, კომკავშირი" წინ მიიწევს. მის რიგებში მრავლად არიან სპორტსმენი-კომკავშირელები, სწავლის მოწინავეები, ისეთები, რომლებიც გაისად სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის სტარტებზე გამოვლენ.

ვ. კოვალიოვი,
ესტაფეტის ხელმძღვანელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## კრილატსკოეს ახალმშენებლობები

მაღალი ტემპით მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები მოსკოვის ერთ-ერთ ოლიმპიურ რაიონში — კრილატსკოეში.







სურათებზე: ტრესტ „სპეცსტალკონსტრუქციის" მემონტაჟეები ი. ვლასენკო (მარცხნივ) და ე. მედვედიევი კრილატსკოეში მუშაობენ; გრძელდება ნიჩბოსნობის არხის რეკონსტრუქცია. აქ შენდება კიდევ ერთი სპორტული კორპუსი და დამატებითი ელინგები, გაფართოვდება ტრიბუნები მაყურებელთათვის; მდინარე მოსკოვის გვერდით დამთავრდა 13,64-კილომეტრიანი წრიული ველოტრასის მშენებლობა.

## ხუთი რგოლის ემბლემით

### ექსპონატები ოლიმპიადისათვის

2.800 სხვადასხვა ექსპონატი (სამკერდე ნიშნები, ტელევიზორები, გრამფირფიტები, მოსასხამები, სათამაშოები) ამშვენებს მუდმივმოქმედ გამოფენას — „მოსკოვი — სსრ კავშირის დედაქალაქი". ყველა ნაწარმს ოლიმპიური სიმბოლიკა აქვს. თუ რომელი მათგანი მოხვდება ოლიმპიადა-80-ის გასაყიდ სუვენირებს შორის, ამას საგანგებო სამხატვრო საბჭო გადაწყვეტს.

### დიაფილმების სერია

დაიწყო 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი დიაფილმების სერიის გამოშვება. პირველი გამოვიდა დიაფილმი „მოსკოვი — ოლიმპიადა-80-ის დედაქალაქი". იგი დემონსტრირებული იყო ჰავანაში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალზე. ახლა მთავრდება მუშაობა ახალ დიაფილმზე „საბჭოთა სპორტსმენები — ოლიმპიური თამაშების გმირები".

### კინომოყვარულთა კონკურსი

საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი მოყვარულთა კინოფილმების საკავშირო კონკურსის ჩატარების შესახებ. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია დოკუმენტურ, მეცნიერულ-პოპულარულ, სასწავლო ფილმებს. კონკურსში გამარჯვებული ფილმები ნაჩვენები იქნება ოლიმპიადის დღეებში.

### დროშის ესკიზი

„ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა XXII ოლიმპიადის ოფიციალური დროშის ესკიზი და თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალის პიქტოგრამა. ოფიციალური დროშა წარმოადგენს თეთრ ტილოს, რომლის სიგრძე-სიგანის შეფარდებაა 1:2, მის ცენტრში მოთავსებულია მოსკოვის ოლიმპიადის წითელი ფერის ემბლემა. პიქტოგრამა ჩახატულია კვადრატში, რომლის ცენტრში მოთავსებულია სტილიზირებული ფრალა ოლიმპიური ცეცხლით. ოფიციალური დროშისა და პიქტოგრამის ესკიზების ავტორია მოსკოველი მხატვარი ბ. კატონოვი.

# ახალი ლიდერი

საქართველოს პირველობა

თბილისში, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონზე გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის II წრის მორიგი ორი ტურის შეხვედრები.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა სამი მატჩი. ლიდერი — თბილისის „სპარტაკი", რომელსაც აქამდე 11 ქულა ჰქონდა და ქულით ასწრებდა ქუთაისის „სახლმშენს", მეშვიდე ტურში სწორედ თავის მთავარ მეტოქესთან თამაშობდა.

„სახლმშენი" ახლა უკვე საკავშირო პირველობის უმაღლესი ლიგის გუნდია. ცხადია, ქუთაისელები „სპარტაკთან" შეხვედრაში შეეცდებოდნენ მატჩი ისე ჩაეტარებინათ, როგორც ეს სწორედ უმაღლესი ლიგის წევრს შეეფერება. ასეც მოხდა. მართალია, თბილისელებს ძალ-ღონე არ დაუზოგავთ, მაგრამ „სახლმშენმა" მაინც გაიმარჯვა — 19:6.

ქუთაისელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხომაშურიძე, რომელმაც თავის გუნდს 12 ქულა მოუპოვა. „სახლმშენმა" ამ გამარჯვებით ქულით გაასწრო „სპარტაკს" და სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკურ ჩემპიონატს. აღსანიშნავია ა. გიორგაძის კვალიფიციური მსაჯობა.

ამ დღეს კიდევ ორი შეხვედრა შედგა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები — 36:12 და ქულებით „სპარტაკს" დაეწია, ხოლო ჩოხატაურის „ლელომ" მოუგო ქიათურის „იმერეთს" — 33:0.

გუშინწინ, VIII ტურში პირველად ერთმანეთის პირისპირ აღდგნენ საპრიზო ადგილების მთავარი პრეტენდენტები — „სპარტაკი" და სპი. სპარტაკელებმა წინა დღით განცდილი მარცხიდან სათანადო დასკვნები გამოიტანეს და მომავალ ინჟინრებთან ტექნიკურად და ტაქტიკურად უფრო კარგად თამაშობდნენ. თ. გამცემლიძემ (საჯარიმოთი), გ. კორკოტაშვილმა („ქალაქის" აღებით) და გ. ლებანიძემ (დრაპოლით) „სპარტაკს" გამარჯვება მოუტანეს — 10:3.

საინტერესო გამოდგა „ლელოსა" და მედინსტიტუტის რეგბისტების შეხვედრა. მინდორზე ნამდვილად უშლავათო, მაგრამ კორექტული მატჩი გაჩაღდა. შესვენებამდე ჩოხატაურელებმა თ. ჯინჭარაძემ და ტ. მამალაძემ ორჯერ აიღეს მასპინძლების „ქალაქი", რასაც კ. კილაძემ „ლელოს" ჩათვლის მოედანში შესვლითა და ბურთის დადებით უპასუხა, ხოლო მ. ბურძგლამ ზუსტად გაიყვანა საჯარიმო — 8:7. „ლელომ" მოიგო ტაიმი.

შესვენების შემდეგ ჩოხატაურელმა გ. ყაჭეიშვილმა დალაშქრა მეტოქის „ქალაქი", ხოლო შემდეგ თ. ბოლქვაძემ რეალიზაცია ზუსტად დაარტყა — 14:7.

„სახლმშენმა" იოლად მოუგო „იმერეთს" — 67:3.

ქიათურელები ჩემპიონატში ძალზე სუსტად გამოდიან, მაგრამ ეს ოდნავადაც არ აყენებს ჩრდილს ამ ყველაზე ახალგაზრდულ კოლექტივს, რომელიც ფაქტიურად წლეულს გაზაფხულზე ჩამოყალიბდა. ივი მომავლის მქონე გუნდია. ამას ადასტურებს 16-17 წლის ჭაბუკების თავდაუზოგავი ბრძოლა.

გუშინ ჩემპიონატზე დასვენების დღე იყო. დღეს გაიმართება IX ტური. ერთმანეთს ხვდებიან „სახლმშენი" — სპი, „იმერეთი" — მედინსტიტუტი, „სპარტაკი" — „ლელო".

## ჩოხატაურელთა „ვერცხლი"

ტირასპოლში დამთავრდა 1962-63 წლებში დაბადებული მოზარდების საკავშირო პირველობა, რომელშიც 7 გუნდი მონაწილეობდა. ისინი თავდაპირველად ორ ქვეჯგუფად გაიყვნენ. პირველ ქვეჯგუფში შეიყვნენ მოსკოვის „ლოკომოტივი", ჩოხატაურის „ლელო", ნოვოკუზნეცკისა და რიგის გუნდები, ხოლო მეორეში — მოსკოვის „სლავა", ლენინგრადისა და მასპინძელთა კოლექტივები. ამ გუნდებმა ადრე თავიანთ რესპუბლიკებში გამართულ შეჯიბრებებში იმარჯვეს და საკავშირო ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ჩოხატაურელებმა ქვეჯგუფში პირველივე შეხვედრა წააგეს „ლოკომოტივთან" — 4:7, მაგრამ შემდეგ მოუგეს რიგისა (11:4) და ნოვოკუზნეცკის (16:0) კოლექტივებს და „ლოკომოტივთან" ერთად ფინალურ ჯგუფში თამაშის უფლება მიიღეს. მეორე ქვეჯგუფიდან ფინალში გავიდნენ „სლავა" და ტირასპოლის რეგბისტები.

ფინალში „ლელომ" ორივე მეტოქე დაამარცხა: ჯერ „სლავას" მოუგო — 4:3, ხოლო მერე მასპინძელთა გუნდს სძლია დიდი ანგარიშით — 39:0. „სლავამ" დაამარცხა „ლოკომოტივი" — 6:0.

მოხდა ისე, რომ „ლელოს", „სლავასა" და „ლოკომოტივს" საბოლოოდ თანაბარი ქულები დაუგროვდათ, მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდების გამო პირველობა „სლავას" მიეკუთვნა. „ლელო" მეორე ადგილზე დარჩა, „ლოკომოტივი" — მესამეზე.

„ლელოდან" ყველაზე შედეგიანი გახლდათ ჩოხატაურის პირველი სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ზ. ცხოიძე.

გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადეს მწვრთნელებმა დ. ცინცაძემ და გ. შენგელიამ.

ჯ. ჯარათაშვილი.

## რეგბი

## ჭადრაკი

### მასპინძლები წინ არიან

ქუთაისი, 27 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ვ. ქარსელაძის მემორიალზე განვლილ ორ ტურში კარგად ითამაშეს ზ. გურგენიძემ და დ. გედევანიშვილმა. მე-8 ტურში ქართველ დიდოსტატთან პირველად დამარცხდა მ. დვორეცკი, ხოლო ოსტატობის კანდიდატმა ფიგურა შეწირა ვ. ოსნოსს და პირველი გამარჯვება მოიპოვა.

მე-8 ტურში ყაიმზე შეთანხმდნენ ე. გუფელდი და ი. ესტრინი, ხოლო დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მე-9 ტურში დაზავდნენ გედევანიშვილი — გურგენიძე, დვორეცკი — ზ. აზმაიფარაშვილი, ზ. სტურუა — ოსნოსი, მ. პოდგაეცი — გუფელდი. სამი პარტია გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას დოლმატოვმა მოუგო გედევანიშვილს. მართალია, თბილისელ მოჭადრაკეს გადადებულ პოზიციაში უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ თამაშის განახლებისას გამორჩა მეტოქის ტაქტიკური დარტყმა.

მანამდე კი თამაშის განუახლებლად ქულა გაიყვეს აზმაიფარაშვილ — დოლმატოვმა, გ. ზაიჩიკ — სტურუამ, ა. ლუტიკოვ — ვ. ლერნერმა.

ცხრა ტურის შემდეგ გურგენიძეს 6 ქულა აქვს, სტურუას — 5,5.

თ. გიორგაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

### ერთი ტურით ადრე

ნიკოლაევში მოჭადრაკე ქალთა 38-ე საკავშირო ჩემპიონატში მე-16 ტურში ლ. სემიონოვამ დაამარცხა მ. წერეთელი და 11,5 ქულა დააგროვა (მე-15 ტურში მისი შეხვედრა ი. ერუსლანოვასთან ყაიმით კი არ დასრულდა, როგორც ჩვენ ვიუწყებოდით, არამედ გადაიდო). ყაიმზე შეთანხმდნენ ი. ლევიტინა — ლ. ზაიცევა, ტ. ფომინა — ერუსლანოვა, ნ. ტიტორენკო — ლ. ლისენკო, თ. ხუგაშვილი — ე. ფატალიბეკოვა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი
(აკ. წერეთლის პრ. № 2)

ფესტივალი

ქალაქების ერევნის, ბაქოს, თბილისის ახალგაზრდული და თბილისის „დინამოს" ვეტერანთა გუნდების ტურნირი კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პრიზზე, რომელიც ეძღვნება ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავს.

28 ოქტომბერი
თბილისი (ახალგაზრდული) — ერევანი (ახალგაზრდული)
დასაწყისი 15 ს.

თბილისის „დინამო" (ვეტერანები) — ბაქო (ახალგაზრდული)
დასაწყისი 17 ს.

29 ოქტომბერი
მატჩი III ადგილისთვის
დასაწყისი 13 ს.
მატჩი I ადგილისთვის
დასაწყისი 15 ს.

ბილეთები იყიდება „დინამოს" სტადიონის სალაროებში 11 საათიდან.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-5[illegible]; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 0227